საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 16580
„18" 12 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნიკოლოზ რურუას ადგილმონაცვლის გიორგი ხახნელიძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 18 დეკემბერს სხდომაზე განიხილა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული მასალები საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნიკოლოზ რურუას ადგილმონაცვლის გიორგი ხახნელიძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა 2008 წლის 16 დეკემბერს სს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი ხახნელიძეს ნარკომანიისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ აღენიშნება და ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში აღრიცხვაზე არ იმყოფება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ ცნობილ უნდა იქნეს გიორგი ხახნელიძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

დავით თოდრაძე

შემსრულებელი: პ.წურწუმია
ტელ: 281316